ჰენრიჰ ჰრინევსკი-საქართველოში დაბადებული პოლონელი მხატვარი

დაიბადა ქუთაისში გადასახლებული პოლონელის ოჯახში. მამის სიკვდილის შემდეგ დედასთან ერთად გაემგზავრა იტალიაში. ფლორენციაში დაამთავრა ტექნიკური სასწავლებელი და ჩააბარა სამხატვრო აკადემიაში, მაგრამ 1889 წელს იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ქუთაისში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად.

მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შუა საუკუნეების საქართველოს არქიტექტურის შესწავლაში.

1912 წელს სპეციალურმა კომისიამ ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით ჰრინევსკის დაავალა საქართველოს ლიტერატურის კლასიკოსის, ილია ჭავჭავაძის, მოთხრობებზე ილუსტრაციების შექმნა. წიგნი გამოვიდა 1914 წელს და ეს დიდი მოვლენა იყო საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

1902 წლიდან ასწავლიდა კავკასიის სახვითი ხელოვნების ხელშეწყობის საზოგადოების სამხატვრო სასწავლებელში, ხოლო 1918-1921 წლებში მისი დირექტორი იყო. ჰენრიხი ერთ-ერთი დამაარსებელი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიისა, სადაც ასწავლიდა 1922—1937 წლებში.მას დიდი დამსახურება აქვს ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლების აზომვaსა და მათი ჩანახატების შესრულების საქმეში.

1938 წელს საბჭოთა ხელისუფლება, ჰენრიკ ჰრინევსკი „ხალხის მტრად“ გამოაცხადა და დახვრიტა. ის პირადი არქივის გარეშე დარჩა.

ჰენრიჰ ჰრინევსკის მოხატულია ქაშვეთის ტაძრის ერთი ნაწილი, ასევე ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი კორპუსის დარბაზი. ჰრინევსკის ორნამენტების ინსპირაცია ტაო-კლარჯეთის ძეგლების მოხატულობა გახდა.

საქართველოს მოწყვეტილი ტაო საზოგადოებისთვის მაშინ სრულიად უცნობი და მიუწვდომელი იყო. ასე რომ, ჰრინევსკიმ თბილისის ცენტრში ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ძეგლების შესაცნობად ფაქტობრივად ერთადერთი და უნიკალური წყარო შექმნა. წლების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ფრესკები დაზიანდა. შენობის ეს ნაწილი კი დაილუქა.

2017 წელს, როდესაც საქართველოს პოლონეთის პრეზიდენტი ანჯეი დუდა სტუმრობდა, გადაწყდა, რომ ფრესკები და უნიკალური დარბაზი აღდგებოდა და ასეც მოხდა.

2018 წელს დარბაზის გახსნას დაესწრო პოლონეთის პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარე მარეკ კუხცინსკი, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შიმონ შინკოვსკი ველ სენკი, პოლონეთის ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩი, უცხოეთში პოლონური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ ინსტიტუტ „პოლონიკას" დირექტორი დოროტა იანიშევსკა-იაკუბიაკი.

მთელი სარესტავრაციო სამუშაოები პოლონეთის მთავრობის სახსრებით და პოლონელი სპეციალისტების მიერ ჩატარდა. ვარშაველმა რესტავრატორებმა გახუნებულ და დაზიანებულ

მხატვრობას ახალი სიცოცხლე შესძინეს. მათ მათემატიკური სიზუსტით გაიმეორეს ჰრინევსკის ფუნჯის მოძრაობა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა უნიკალური დარბაზი, რომელიც საქართველოზე შეყვარებული დიდი პოლონელის ჰენრიკ ჰრინევსკის სახელს ატარებს.

ავტორი-მარიამ უზუნაშვილი